ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2638418

ნომერი: AR1403716

თარიღი : 11.05.2016

გაცემის თარიღი : 07.06.2016

გაცნობის თარიღი : 08.06.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადი , N12-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადი , N12-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადი , N12-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა სულაძე პ/ნ 01008006106
- ქ.თბილისი , ქუჩა ბაღდადის N12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ №2601724 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი.

თქვენს მიერ წარმოდგენილია სააქციო საზოგადოება "თელასი"–ს მიერ გაცემული წერილი, სადაც მითითებულია, რომ სააქციო საზოგადოება "თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება წერილში აღნიშნული ნორმები. ვინაიდან ირკვევა, რომ საპროექტო კიბეები ეწყობა ზედ სააქციო საზოგადეობა "თელასი"–ს კუთვნილ 6 კვ–10–იანი საკაბელო ელ. გადამცემ ხაზზე და მასში აღნიშნული ნორმები ვერ იქნება დაცული სამსახური თქვენს მოთხვნას ვერ დააკმაყოფილებს.

ზემოაღნიშნულის და №2601724 18.05.2016წ. გადაწყვეტილების შესაბამისად AR1403716 განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.